კვირა, 25 აგვისტო 1917 წ.

რედაქციის ადრესი:
თფილისი, ოლლას ქუჩა, № 6.

ფასი 25 კაპ.

ეშმაკმა

№ 35

1917

ვინაიდან მოახლოვდა სრულიად საქართველოს კათალიკოსის არჩევნები, ხოლო „ეშმაკის მათრახის“ რედაქციას ჰყავს თავისი კანდიდატი აღნიშნულ თანამდებობაზე, ამიტომ შემდეგი (36) ნომერი „ეშმაკის მათრახისა“ იქნება სპეციალური „სასულიერო ნომერი“.

ნეიტრალური მდგომარეობა



პატარა ფელეტონი

* * *

ა

— თქვენ რა ხართ?

— კაცი!

— განა მე ვერა გხედავთ?.. მე მხოლოდ თქვენი ვინაობა მინდა გავიგო...

— ნუ თუ დაგავიწყდათ ჩემი სახელი და გვარი?!.

— ღმერთო ჩემო! განა სახელსა და გვარს გკითხავთ?

— ?!

— მე აი ის მინდა გავიგო... ჰმ .. კაკ სკაზატ?.. ჰო! რა პარტიას ეკუთვნით?

— ა ა ა... თქვენ გინდათ გაიგოთ ჩემი პარტიული ფიზიონომია?

— დიახ, დიახ, სწორეთ თქვენი პარტიული ფიზიონომია.

— მე ს. დემოკრატი ვარ.

— ს. დემოკრატი?! ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ თქვენ... სამშობლოს მოღალატე იქნებოდით! სულ არ შეგფერით ეგ როლი.

— მაპატიეთ, ს. დემოკრატობა განა სამშობლოს მოღალატეობას ნიშნავს?

— მაშ რის მაქნისები არიან ს. დემოკრატები? სხვა რა საქმე აქვთ? ნუ თუ არასოდეს არ წაგიკითხავთ ჩვენი გაზეთები?!. ნახვამდის! ცივათ გამშორდა მშვენიერი.

შევწუხდი.

იმავ საღამოს ამოვეწერე ს. დემოკრატიულ პარტიიდან:

სამშობლოს მოღალატე პარტიაო, მითხრა პატიოსანმა ქალმა და აბა რა საბუთი მქონდა— ჭეშმარიტებათ არ მიმეღო მისი სიტყვები?

ბ

მეორე დღეს მე უკვე ფედერალისტი ვიყავი. თავს მშვენივრათ ვგრძნობდი.

ვნახე პარტია, რომელსაც მიზნათ სამშობლოს ბედნიერება დაესახა.

— ვასოს გაუმარჯოს! მომესალმა დიდი ხნის უნახავი ამხანაგი.

ერთმანეთი გადავკოცნეთ.

გავაბით ბაასი.

შევეხეთ თანამედროვე კითხვებსაც.

— მართლა, შენ რომელ პარტიაში ჩაეწერე? მკითხა ამხანაგმა.

— რომელში ჩავეწერებოდი! ფედერალისტების პარტიაში.

— ვერ წარმომიდგენია—რა გქონდა საერთო მშრომელი ხალხის მტრებთან, არა სოციალისტებთან?

— როგორ, ფედერალისტები სოციალისტები არ არიან?!.

— შენგან არ მიკვირს! ერთათ ერთი სოციალისტური პარტია მთელ ქვეყანაზე ჩვენი პარტიაა... ს. რევოლიუციონერების პარტია.

წაიკითხე ჩვენი გაზეთები და ყველაფერს გაიგებ.

გაზეთები რა ჯანდაბათ მინდოდა! იმოდენა კაცის სიტყვები საბუთი არ იყო?

თავი დავანებე ფედერალისტობას და გავხდი რევოლიუციონერი.

3

— თქვენ რათ მიატოვეთ ჩვენი პარტია?

— იმიტომ, რომ თქვენი პარტია სამშობლოს მოღალატე პარტიაა!

— საბუთი?

— წაიკითხეთ ფედერალისტების გაზეთები და... თუმცალა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მე არც ფედერალისტები მომწონს. ისინი ცრუ სოციალისტები არიან... მე რევოლიუციონერი ვარ— ჩვენი პარტია ერთათ ერთი სოციალისტური პარტიაა მთელ დედამიწის ზურგზე. წაიკითხეთ ჩვენი გაზეთები და დარწმუნდებით ამაში.

— ეგ თქვენ მიერ მოწონებული პარტია წვრილი ბურჟუაზიული პარტიაა და მეტი არაფერი. ამასთანავე მისი აგრარული პროგრამა საქართველოს გლეხებისათვის პირდაპირ დამღუპველია. ეს ნათლათაა გარკვეული ჩვენს გაზეთებში. გირჩევთ წაიკითხოთ. „ვის გავეყარე და ვუის შევეყარეო“ რომ იტყვიან, სწორეთ მე დამართია ასეთი საქმე.

—

ვერ წარმოიდგენთ, რა სიამოვნება განვიცადე, როცა რევოლიუციონერებსაც გამოვეშალე და თავი

უპარტიოთ ვიგრძენი! მაგრამ ხან-მოკლე გამოდგა ჩემი ბედნიერება. საზოგადოებას რაღაც არ ეპიტნავა ჩემი უპარტიობა და.. ზოგი დამცინის, ზოგი საყვედურს მეუბნება... ყველა ეჭვის თვალით მიყურებს. შორეული ნაცნობები შავ ჭირსავით მერიდებიან, მეგობრებიც ალმაცერათ მიცქერიან; განსაკუთრებით კი ახალ-გზრდა მანდილოსნებში ეცემა ჩემი პრესტიჟი:

—რამ ხელა ვირია და არც ერთ პარტიას არ ეკუთვნის!

—ფუ!!!

ზოგიერთებს კიდევ უფრო ცუდ გუნებაზედ აყენებს ჩემი დანახვა და გახსენება, მაგრამ...

აქ შევჩერდები, თორემ მაინც და მაინც კარგ ხასიათზე არც მე ვარ და შეიძლება ცუდი რამ წამომცდეს.

d.

მცირე უსტარი დიდ ეშმაკს.

მბრძანებელო ჯოჯოხეთისაო, მწყალობელო კულმუხეთისაო, თვითმპყრობელო ქაჯეთისაო, დიდო ეშმაკო. მე უღირსი მონა შენი კვლავ ვისწრაფვი ხილვად შენდა, კვლავ მსურს გესაუბრო და რადგან ამ ჟამად შორს ვარ, ამა მცირე უსტარით მოგიკითხავ, გიკეთებ „დოკლადს“ ჩემის მოგზავრობისას. მაგრამ ვიღრე თვით საქმეს შეუდგებოდე, მსურს მოხაზულობა აღვნიშნო ჩემი გეგმისა და თუ არ დაიწუნებ და მიბოძებ გზათა კომისარობას მერე კიდევ მეტს ერთგულებას გამოვიჩენ. მომაპყარ ყურნი სმენად!

გადაყუდებულ იქმნა თუ არა ტახტისაგან კონტრაგენტი ღვთისა ნიკოლოზი, მე ვიგრძენ თავი „ოსტავკაში“ გასულად, გადავწყვიტე რომ ამიერიდან არავითარი საქმე აღარ დამირჩებოდა. ჩემი უიღბლო ბედი აქაც უიღბლო გამოდგა, რადგან ტახტის დამხობის დღეს მე არც ციმბირში ვიყავ და არცა ციხეში. მართალია აკრძალული მქონდა ბათუმის ოლქში შესვლა, მაგრამ რევოლიუციის წინაშე ეს დამსახურებათ არ ჩამეთვალა და მე დავრჩი სრულიად გარიყული და არ მიბოძეს კომისრობა. წარმეკვეთა სასო და გადავწყვიტე განეშორებოდი წუთისოფელს, მაგრამ დიდი ფიქრისა და ანგარიშის შემდეგ, კუბოს გაიფეგებამდე თავის მოკვლა გადავდეევ. ამ რიგად რაკი ცოცხალი ვარ კვლავ განვაგრძობ საქმეს საეშმაკოს, კვლავ მსურს განვაგრძო ხიკინი სახიკინოთა. ახალგაზდობაში წინაალმდეგი არ ვიყავ კიდეც შემებლიკვა ღირსი, მაგრამ ახლა მხოლოდდა ხიკინი ძალ მიძს. და აი ამ განძრახვით ხელთ ვიპყარ გარგანი გადავიკიდე ტაბარჯუხი და გაუდექი გზას.

შენ გიამება ეშმაკთ უხუცესო, რადგან პირველად შეუდექი აჭარის აღმართს. ვიცი შენ, როგორც ეშმაკს გძულს ქრისტიანები და მაშასადამე უნდა გიყვარდეს მახმადიანები. ამართალია შენი საკბილო ბევრია ქრისტიანებში, მაგრამ ბევრი გყავს სამრევლოდ გამზადილნი ქართველნი მამადიანებიც. ბევრიც გესაყვედურება, რომ შენ და არცერთმა შენმა მოციქულმა არ მიხედეთ და შესახურებელი არ შეახურეთ. ყველაზე მეტს გემდურის დიდი სანჯაყ ბეგის შვილი მემედ ბეგი აბაშიძე. მისი „პადრეთი“ თუ დაგჭირდეს აპოლონ წულაძეს აქვს თავის „ძმუ სიტყვაში“. მგონი ეს ვაჟი შენც გენახულება თფილისის გაზეთების ყველა რედაქციებში დადის, ქართველებში დიდ პატრიოტ ქართველად მოაქვს თავი, ბევრს სწერს, ბევრს ლპარაკობს, , მაგრამ ცალი თვალით მაინც გაჯინსკისა და სულთანოვს „ეყურებენება „

ყველას ასე ეგონა და მემედ ბეგს კიდეც შესწამეს ქართველების ღალატი, მაგრამ ეგ ჭორი გამოდგა და მემედს ჭეშმარიტი ქართველობა საქალაქო არჩევნებმა დაამტკიცა. აი როგორ: ბათუმში არიან ქართველი ფედარალისტები, არიან ქართველი ნაციონალ დემოკრატები, არიან სოციალ-დემოკრატებიც, (რომელთა პარტიაში ქართველებიც არიან) მაგრამ მემედ ბეგმა დააარსა მუსლიმანთა პარტია და ხმოსნადაც აირჩიეს.. რაკი ის ამ პარტიაში ეულია (ისე, როგორც ფედარილსტთა პარტიაში სოსიკო მდივანი და ნაციონალ დემოკრატებში სპირიდონ კედია მემკვიდრე – ექიმი გრიგოლი) ამიტომ ის აარსებს დუმის მუსლიმანთა ფრაქციას, ამ ფრაქციის თავმჯდომარეც ის იქნება, მისი ამხანაგიც. მდივანიც და ფაშაც.

7 აგვისტოს, ბათუმში ისტორიულ დღეს. როცა ბათუმის თვითმმართველობის ახალი ხმოსნების პირველი სხდომა იყო, მემედ ბეგმა ვრცელი სადეკლარაციო სიტყვაც წარმოსთქვა: რუსულ, ქართულ, თურქულ, არაბულ და ადერბეჯანულ ენაზე. მისი ისტორიული სიტყვა გათავებამდე ტელეფონით გადეცა „აჩიკსოზის“ რედაქციას ბაქოში.

გზათა კომისარი.

შარადა

მონახეთ თეთრი ქალალდი
შარადის დასაწერათა.
შავი არ გამოგადგებათ, —
(შინჯეთ თუ არა გჯერათა).
დასწერეთ; რაშიაც სცხოვრობთ
იმის საერთო სახელი.
ამას ადვილად მიხვდებით
ყველა ხართ მისი მნახველი.
ხუთი ასოსგან შესდგება,
ხუთივე არა სჭირია;
პირველი ორი ჩვენ გვინდა,
სამი კი გასაწირია.
იქავე მოვეუწერევით
სახელი გრძელი ჯოხისა, —
კაკლებს რომ ბღერტენ კახეთში
ტარათ არ ვარგა თოხისა.
ამ სიტყვის ბოლო ასოი
ვერ არის მოსაწონია*).
მიტომაც უნდა მოისპოს,
მის ალაგს გვინდა ო-ნია.
დაბოლოს მიუწერევით
თქვენივ სხეულის ნაწილი,
რითაც დასწერეთ შარადა,
არ იცის სვლა და მანძილი..
მცირე რამ დოსტაქარობა
სჭირდება ბოლო სიტყვასა,
უნდა პირველი ხმა მოვსჭრათ, —
შარადა სწორად ითქვასა.
და მოთავდება საშრომი
გამოვა რამე სახელი...
მას ერთნაირად ატარებს
იმერელი თუ კახელი;
ვისაც არ უყვარს დასელი
„ებრძვის“ სიტყვით და კალმითა
და ვისთან გამარჯვებაზე
ოცნებობს დღე და ღამითა.
მაგრამ არ სწყალობს ალლახი —
სულყველგან მოსდის მარცხია;
რადგანაც იმის სიმართლეს
სიმართლე სულ არ აცხია.

ჩრჩილი.

*) რა მოსაზრებით ვიწუნებ ყველა მიხვდებით მგონია.

წროუნდელი ჩვენი მოსავალი

(გურული სცენა).

ამისმეტი არ მინახავს და არც გამიგონია, რომ კაცს ყოველ კედრიდან ცეხლი ეკიდებოდეს. დავ ბერდი აგერ კაკალი კაცი, ბევრი კაი გამიგონია და გლახა, ჟამი რომ გაჩდა გურიაში მაშინ პაწაი ვიყავი თურმე, კარგად არ მახსოვს, ჟამს ქე გადავრჩი, მარა ამ წროუნდელ წელიწადის მოუსვლობას ველარ გადუურჩები; რავა, სანამდი გუუძლებ ამ სიმინდის ყიდვას. წროულს ჩვენში ერთ კეკალ კაცს ერთი ჯამი ჭირნახული არ მოუვა. აი მეჩვიდმეტე წელი რომ დადგა სულ ღმერთს ვლოცულობდი, კაი ამბები მოხდა, ნიკოლოზე ქე გადმოვაყინწისთავეთ ძირს, აგი ვაინი ქე გათავდება და პაწაი გაეფდეს იქნება რამე მეთქინ... არ შეგჭამოს ჭირმა, არც ვაინი თავდება და არც არაფერი. კაცები რომ გადირიენ და ვაინი დეიწყეს, აგი კიდომ არ გამიკვირდება, მარა, აგი ხაიერი რამ გადარია, რომ მოგვდგა და ამოგვაგდო კაცი. რაცხა ვაინი ხაიერმა გამოგვიცხადა წროულს. დავთესე სიმინდი თუ არა ჭიების და მახრას *) მიწას ქვეშა ნავებმა სულ ჩასძირეს ჩემი ახლად ამოსული სიმინდი, სულ თლად ასჭრეს. დავთესე კიდომ, თუ არა, ჭიების მიწას ქვეშა ნავებს ჩიტების მფრინავთ რაზმი მიეხმარა, დაუხურეს ახლად ამოსულ სიმინდას ნისკარტების ყუმბარები და სულ დედა მიწადან ამეიღეს. შოურიე კიდევ სიმინდი, გამოვრგე ეგერ აგერ, ვიფიქრე აწი მაინც კი ივარგებს მეთქინ; ქე ივარგებდა, მარა რომ დოუშვა წვიმა, თელი ზაფხული იწვიმა, რომელი პულამეტრის და შრაპნელის ტყვიები შეედარებოდა წვიმას, ისე გააოხრა ჩემი სიმინდის ჯარი. ამ წვიმაში პაწია ქე წამეიზარდა მარა ისე გაყვითლდა, როგორც გინახავს ციებიდან გაყვითლებული ქორესუბნელი კაცი და ქვალონელი მეგრელი. გამევიდა პაწია დარი, ხელათ მოვახთინე მოყრების და მეზობლების მობილიზაცია: თუ სამე იყო დაბრაკული ყმაწვილები და ბერიკაცები ყველაი გვეიწვიე ნადში, წეველსიეთ და გავმრგლეთ ყანები, მაგრამ ისევლე დაუთქიშინა წვიმამ, წახთა, წახთა

*) მახრას გურიაში ერთგვარ მოზრდილ მწერს ეძახიან, რომელიც სიმინდს ამოსვლისა თანავე სჭრის ძირში.

ავტ.

წროულს ჩვენში ყანები... რომ ნახო ახლა ჩვენი სიმიდები, რომელლცხაი გადურჩა ამ ავდრებს, მაინც არ არის სასიკეთო, არც თავი იყარა ხეირიანად, ვერც ოქრის ჭოჭი გამეიღო, აბა ფოჩვი ქოსა კაცის ულაშებსავით აქვს ორი ღერი.

ეხ, ყანები დეიღუპა თლად ქე ვხედავ, რაღა გეეწყობა, კიდომ გუუძლებდი მაგის დარდს, აგი ადესაის ყურძენი რომ არ დაღუპულიყო თლად. რავარც დადგა მაისი, ყვავილში რომ იყო ადესაი, მაშინ რომ ჩამონისლა, რომ მიედვა თლად ნისლი მხრჩოლავ გაზივით ვენახებს, გააქრო ყურძენი ყვავილში. წროულს ჩემსას საზიარებელ ღვინოს ვერ იშონის კაცი, აბა ქეიფმა ჯვარი დაგწეროს, ქე უნდა ვიყო მგლოვიარესავით, ერთ ბრავალჟამიერს ვერ ვიტყვი. ბაწაი, ღვინო გამაქეიფებდა და ჯავრს მავიწყებდა, თვარა აბა ისეე, რა ამამღერებს. სიმინდი და ყურძენი ხომ ვნაცელეს, იოხთურ. ახლა, აბრეშუმი კაღამ გამავიწყდა. მეიტანეს გაზაფხულზე აბრეშუმის თესლი, უყურა, უყურა ჩემმა ეფიზელამ, აგერ გამოვა, აგერ გამუავო, იდუა უბეში, ხვია უხმარ ბამბაში ეგება გათბეს და გამეიდეესო, მარა არ შეგეშალოს ჭირმა, უბეში კი არა, გახურებულ კეცზე რომ დაგეყარა არ გამეიდოდა ისე იყო მოყინული. გააბრუნა ყველამ უკან ისევე აი აბრეშუმის კეკალი. მერე რაცხა თითო სოფელში, ორმა სამმა კიდომ ვიშონეთ ჭიის კეკალი, მე ქე შემხვთა იღბლათ. ჩემი ეფიზელე სიხარულით აღარ იდგა ფეხზე, აბრეშუმს მაინც ვაკეთებო. გამოსვლით ქე გამოვიდა და დიდ-კანშიც ამოვიდა. ეფიზელეს სიხარულს საზღვარი აღარ ქონდა, თუ რამე ეცვა ტანზე სულ ბეოლაის სხვლაზე ჩამუახია ხეზე; ამოვიდა დიდ კანში, გუუკეთეთ ცახები, მარა ზედ წელი ვერც ერთმა ვერ გაათრია. რომელიც გვევიდა, იგიც ქე გადმოვარდა ძირს, დაყვითლდა სულ ყველა საივანობო მსხალსავით და გადმოლაგდა მიწაზე. წამიხდა აბრეშუმის ჭიაც... მადლობა ღმერთს რაც მოხთა, მოხთა. მარა ეფიზელეს ჯავრმა მომკლა, რომ ჩამოუშვა აი გიდელის სიგრძე ცხვირი სულ ტირის და ზლუკუნობს, ვერ გავაყუნჩე, მაგის იმედი მქონდავო, მაგიდან ვაპირობდი შემოსვას, თვარა რაც მქონდა იმას მუუმთხილდებოდი და ხეზე არ ჩამუახევდიო... ნუგეშინია ქალო, აგერ თუთუნი ხომ გვაქ მაინც, ვაკეთოთ კარგათ და აფერი გვიჭირს მეთქინ... მართლა ახლა ერთი თუთუნის იმედი მაქ, იქნება ბაწია ბჭადის ფული იმას გამოვრჩე, მარა, რავიცი, უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო, ისეთა გურულების საქმეც.

ლუკაიეს ოპოლი.

ღია წერილი

ამხანაგ გოგიას.

ძვირფასო ამხანაგო! ეშმაკმა დამავალა განუგეშო ისე, როგორც შენ მას ანუგეშებ ხოლმე. დავიწყოთ სცენა „კომისარიდან.“

სცენა შენი „კომისართან,“ ეშმაკმა თავის დროზე მიიღო, ამიტომ ჭიათურის ფოსტის კომისარი სრულიად უდანაშაულოა. მიიღო და გაუხარდა. — აი, თუ დამასვენა სამიოდ კვირით, ეს დამასვენებსო“ — წარმოსთქვა ეშმაკმა და რვეული სათუთი სიყვარულით ჩასდო სტოლის უჯრაში. სიმართლე უნდა გითხრა, ძმაო გოგია, რომ ამ თავისუფლების დამყარებასთან ერთად დისციპლინა საზოგადოთ დაირღვა. მარტო ჯარში კი არ არის ეს საჯაყი საქმე, არა ჩვენს კორესპოდენტებსაც მოედო სენი და ისე ჩაიწყვიტეს სიმები, რომ მათში წესიერების აღდგენა მხოლოდ ძლიერ მთავრობას თუ შეუძლია. აი ამიტომაც შენი სცენა სათადარიგო თანხად ჰქონდა შემონახულ ამხ. ეშმაკს და როცა იხელთა ბოჯომისაკენ, კიდევაც გადასცა სტამბას. თუ ამ გარემოებამ რაიმე ავნო შენს ნერვებს უნდა მიუტევო ეშმაკს, ვინაიდან საერთო ინტერესები უკარნახებდა ასე მოქცეულიყო. იგი დღესაც სცდილობს თანამშრომელთა შორის დარღვეულ დისციპლინის აღდგენას, მაგრამ საქმე ადვილათ არ გვარდება. ახლა მთხოვა მოგმართო შენ, რათა შეაკავშირო ცოცხალი ძალები და გაუწიო საჭირო დახმარება. სამშობლო განსაცდელშია!

ახლა ორიოდე სიტყვა—„სოფლის მუშის“ რედაქციის შესახებ. დღეს, მეგობარო გოგია, საზოგადოთ რეკვიზიცის ხანაა. რეკვიზიციას უშვებიან რედაქციებს, სტამბებს და აგრეთვე ფსევდონიმებსაც. მე მეგონა მარტო ჩემს ფსევდონიზე მოიტანა იერიში „სოფლის მუშის“ რედაქციამ და თურმე შენც ჩემი ბედი გწევია. მონაწილე ვარ შენი გულითადი მწუხარებისა მით უმეტეს, რომ მას ველარაფერით

ვერ ვუშველით! მე ვაცნობე აღნიშნულ რედაქციას, რომ ჩემი ფსევდონიმი, ასე უსამართლოდ წართმეული, დაებრუნებია. მაგრამ არ შეგეშამოს ჭირმა! სუდში ხომ ვერ წავალთ და თხოვნა მეტი აღარ შეიძლება.

ალბათ შენს ფსევდონიმსაც ეს დღე მოელის. „სოფლის-მუშის“ რედაქტორები ამ გაზაფხულზე ჩამობრძანებულან მარსიდან და ადგილობრივ ჟურნან-გაზეთებს ჯერ-ჯერობით არ იცნობენ. ეშმაკმა აღგითქვა დახმარება და ვნახოთ რა გამოვა. ის კარგათ იცნობს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ზოგიერთა გავლენიან წევრებს და იმათი საშუალებით შეიძლება დაგვიბრუნოს „სოფლის მუშის“ რედაქციამ ასე უსამართლოდ წანაგლეჯი ფსევდონიმები. ჩვენ უმისოდ არ ვარგივართ და „სოფლის მუშას“ თავიც რომ დაეკარგოს არაფერი დააკლდება.

ძმური მოკითხვით მარადის შენი

მორიელი

ჭიათურისათვის

ჭიათურას „მანიფესტი“
წილათ ერგო ერთობ დიდი:
თფილისსა და ქუთაისსა
მართებს ეხლა ჩვენი რიდი.
მაგრამ ვაი ამ უფლებას
თუ ის ველარ მოვიხმარეთ
და იქ, სადაც ლხინს მოველით,
სინანულის ცრემლი ვღვარეთ.
შენ, ეშმაკო, ჩინით დიდო,
ჯოჯოხეთის კომისარო,
მოისმინე ჩვენი თხოვნა,
ეგებ საქმე მოგვიგვარო.
მთავრობაძე როცა მოკვდა
და გაიყვეს მისი კერა,
რუსეთს ერგო რესპუბლიკა,
„ნიკოს ტურფა ყვავილთ მზერა.“
პროტოპოპოვს „პეტრეს“ ციხე,
შენ ქვესკნელის კომისრობა.
„ესერობა“ არლუთინსკის
ჭიათურას ქალაქობა.
ავაყვავებთ ჩვენ ამ დაბას,
ვავისწორებთ აწი ზურგსა
„ფუი“ ვუთხარ მე იმ საქმეს,
თუ ჩამოვრჩეთ პეტერბურგსა.
ხმოსნები გვყავს ასარჩევი
რიცხვით ძლიერ მცირედია...
(ხალხს ვიშოვით საამისოს,
გვაქვს ჩვენ სრული იმედია.)
მაგრამ ჯერი „თავზე“ მიდგა
(აი საქმე გასაჭირი!)
თუ როგორმე გამოვეძებნეთ
კედელს ვასოთ დიდი ჩხირი.
დალოცვილი ხატისოვი
რაღა ეხლა დაიკარგა,
(რომ გამოჩნდეს... სწორე გითხრა..
ჩვენთვის მაინც აღარ ვარგა.)
როცა ყველა ჩუმათ იყო
„რეჩს“ აცხობდა მი ზომ ხშირსა,
რომ საქვეყნოთ, სანაქებოთ
ვუწოდებდით „ოქროპირსა.“
დღეს კი „რეჩი“ მოდაშია,
აღარა სდუმს ქვეყნად კაცი,
იგი დინჯობს, „რეჩს“ არ ამბობს
როგორც მუნჯი და ზარმაცი.
საიდუმლო ამბათ ვუწყით,
რომ „ქაჯებს“ ყავთ კოხტა გმირი,
გარს ზინვორნი შემორტყმიან
ტყვეთ ზის, თურმე „ოქროპირი.“
მიუვალი სიმაგრიდან
ვინ დაგვიხსნის „უსწორ თავსა“
ზინვორების მთავარ მეფეს
ვინ შეჰკადრებს ასეთ ზავსა.

— —

ხშირათ გვსმენია ფოთიდან
ნიკოლაძისა „თაობა“,
კაცი ცუდს ვერას იტყოდა
თუ არ სტანჯავდა ავობა.
სულ ნიკოლაძის საქმეა
რომ ააყვავა ფოთები
თუმც ბევრი შეუდგენია
წრეს გადასული „სჩოთები.“
მანვე მოაწყო „ტრამვაი“
უბადლო ელევატორი,

გზები, სინათლე, სკოლები,
და მარგანეცის სასწორი.
მანვე დაიწყო და კიდეც
მოაჭახრიკა „ბუხტია“
(რომლისა შემონახარჯი
ჯერაც არ გადაუხდია).
ნიკო ფიქრობდა ფოთისა
ევროპიულათ მოწყობას,
და მსგავსათ ევროპიელთა
სესხით ხელების მოთბობას.
მაგრამ შეიქნა „აბრუნდი“,
წამოიზარდენ ვალები,
და როს დასწონეს ქალაქი,
მაშინ დასჭყიტა თვალები.
თუ ნიკოლაძე „ვითავეთ“
მარგანეცისა ფულებსა
ვინ დააყენებს, გაფლანგავს,
გაგვიასკეცებს წყლულებსა.
დიდია, დიდი ვარამი,
ეშმაკო ჭ ათურისა,
თავი გვჭირია დაბისთვის
(დარდი არა გვაქვს ყურისა)
შენ დაგვიხსენი ამ დღიდან
და ნუ ჩაგვაგდებ სირცხვილსა
თფილის-ქუთაის-ბათუმის.
ნუ დაგვანახვებ სიცილსა
შენ მოგვიძებნე „სათავო“
გვამი დიდი და ჭკვიანი
ფულით და პურით აგვავსოს
არავის უქნას ზიანი.

ანდრე.

ს. ნახახულევი

შემნახველ გასესხებელ ამხანაგო
ბიხ ავ-კარგი

ამბობენ, ნახახულევში
დიდი ამბები ხდებაო;
ძველ გამგეობას ბანკისას
დღეს ხალხი ერეკებაო
დაკეტეს ბანკი... შესწყვიტეს
მართვა და წარმოებაო;
და ამ საქმეზე ზედიზედ
კრებები იმართებაო.
ამოჩნდა, გამეფებულა
ბანკში პირადი ნდობაო;
ყოფილა ნთლი-მამობა,
ძმობა და მეგობრობაო.
ასე გასინჯეთ. წესდება
შეცვლილა, შელახულაო,
და ბანკის საქმე საკმაოთ
აშლილა — აბუწულაო...
გაიძახიან: „გეყოფათ
რაც მოგვაყენეს ვნებაო;
ეხლა კი დროა შესრულდეს
ჩვენი სურვილი-ნებაო“
უკიჟინებენ: „გაგვშორდით,
გაგვშორდით, გაგვეცალეთო,
რაც რომ იხილეთ გეყოფათ
ეხლა სხვებს დაცალეთო!
მით გაგმეობა დაფრთხალი,
ვინ უწყის, რომ იგი
ასე ამბობენ რომ იგი
„ინსპეკტორს“ ეეედრებაო
ისიც მოვიდა... გაიცნო
მან საქმის ვითარებაო;
და გამგეობის ნაშრომით
ვგონებ, ვერც იგი სტკბებაო.
მესამე კრებას დაესწრო
სიმართლე აღიარაო,
და გამგეობა ფერმკრთალი
დიდათ ვერ გაახარაო...
მით გამგეობის, წევრები
არ ეხსნებიან კრებასო;
თავს იმართლებენ, ითხოვენ
ხელახლავ დატოვებასო.
ხალხშიც ამოჩდა ზოგზოგი,
ყვირიან: „დარჩეს მღვდლებიო“,
სხვანი კი უკიჟინებენ:
„არ გვსურს, ათ გვიდა მგლე-
ბიო“
კრებამ ვერ შესძლო მსკვლე
ლობა
ისე წაუხდა სახეო
ენაც ვერ შეძლებს გიამბო,
რაც იქ ვისმინე, ვნახეო.
კრება გადიდვა, ამბობენ
დღეს ირაზმება ყველაო;
და ხალხში საქმეს აკეთებს
ცნობილი კუდა მელაო.

გრიშა იმერელი.

ეშმაკი პროვინციაში

(დასასრული, იხ. „ეშმაკის მათრახის“ № 34).

სოხუმიდან ოჩემჩირემდე.

ცოტა არ იყოს ამბავი მომიგვიანდა. მას შემდეგ, რაც მე სოხუმი დავუტოვე და სამურძაყანო-სამეგრელოზე გადავიარე, კარგა ხანი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ორჯერ მოვინახულე კოკაკავი ქართველთა სამხედრო გზით, ბაკურიანი თავისი მშვენიერი გზით, ბოჯომი, წაღვერი, ცემი, სურამი და სხვა ამისთანა წყრილმანები სათქმელიც არ არის. მიუხედავათ ამისა მე, თქვენი პატივცემული ყურადღება კვლავ წარსულში უნდა გადავიტანო და თან გაგიყოლიოთ სოხუმიდან ოჩემჩირემდე.



სოხუმი—ოჩემჩირე.

გზა ესე მშვენიერია გარემო ბუიების სიმშვენიერ და დამერწმუნე არც თქვენ ინანებთ. მდინარე კოდორი უდიდესი მდინარეა ამ კუთხისა და მის ნაპირას გაშენებული სოფელი აძიუბა უდიდეს სოფლად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნულ გზაზე. საზოგადოთ ეს კუთხე აფხაზეთისა უფრო ნოტიო და ჭაობიანია.

ოჩემჩირე პატარა, მაგრამ სამაგიეროთ ერთობ მოუწყობელი დაბაა. ახლა მასაც ქალაქის ტიტული ებოძა და ჯვონებს დემოკრატიული საბჭოც ჰყავს. მე უკვე მოგახსენეთ ოჩემჩირში ქალბატონ მალიარიასთან გაცნობის ამბავი. და აი, სწორეთ ეს გაცნობა იყო მიზეზი, რომ რეაქციასავით შემძაგდა ქალალდიცა და კარანდაშიც. ორი ხნიერი ქალბატონი უთუოდ მინდოდა დამეხატა, ვინაიდან მეტის მეტი სურვილი შევამჩნიე „ეშმაკის მათრახში“ მოქცევისა, მაგრამ ქ—ნ მალიარიას უსაყვედურონ თუ წადილი ვერ ავუსრულე.

ნაშუადღევი იყო, როცა ოჩემჩირედან ეტლით ოქუმისავენ გავემგზავრე. პირველად ჩვენი მგზავრობის დროს დაგვნამა წვიმამ. გზას, ოჩემჩირედან ოქუმამდე, არ შეიძლება მშვენიერი ეწოდოს რომელი თვალთახედვის წერტილიდანაც არ შეხედო. უკვე მზე ჩასული იქნებოდა, როცა ჩვენი ეტლი გიჟმაჟ მდინარე ოქუმს მიადგა.

გამდელი ა. ჩხენკელისა

მარტოდენ ძიძისა **და** ჯამდელის სიყვარულით შეიძლება აიხსნას ის გამბედაობა, რომლის მეოხებითაც ჩვენი ეტლი შეიპრა ‹ოფიანი მდინარის ტალღებში. მხოლოდ სასწაულს (და აგრეთვე ბედაურ ცხენებს) უნდა მოეწეროს ჩვენი მშვიდობით გადარჩენაც.

სოფ. ოქუმი, ძვლათ გალის მეტოქე ყოფილა. იქ რეზიდენცია ჰქონია ნეტარ-ხსენებულ ბოქაულს ძველი წესწყობილებისას. ნაცვლად უწყებებისა, თუ ზეპირი განცხადებისა სასოფლო ყრილობის მოსაწვევათ, აქ ჯერ კიდევ ბუკ-საყვირი ყოფილა ხმარებაში.

ჩემი მოსვლისათანავე, ბნელსა და წვიმიან ღამეში გაისმა გუგუნი საყვირისა და მითი ეუწყა საზოგადებას, რომ დილა ადრიან თავი მოეყარათ სოფლის კომისარიატში. აკაკი ჩხენკელმა რასაკვირველია არ დაიზარა სამშობლო სოფლის მკვიდრთა მიმართ საჭირო სიტყვის წარმოთქმა და შემდეგ ჩვეულებრივი მეგობრული საუბრის გამართვა.

ღირს შესანიშნავ სანახაობათა შორის მე ვიხილე ის კაკალი, რომელის ჩრდილოში ბევრჯელ უთამაშნია თურმე აკაკის. ხე ჯერჯერობით მაგრა სდგას, თუმცა დიდი ხნისა და ამბების მომსწე სახის გამომეტყველება აქვს. იქვე შორი ახლოს მოსჩანს სახლი სამურზაყანოში ცნობილ მელიტონ ემუხვარისა. მე არა მქონია უბედურება პირადათ მისი შეხვედრისა, მაგრამ გაგებით ბევრი რამ საინტერესო და საყურადღებო გადმომცეს შესახებ ზემო აღნიშნული რაინდისა.

თუ არა ვცდები, მელიტონ ემუხვარსა და ადგილობრივ საზოგადოებაზე თამამად შეიძლება ითქვას იგივე „კატისა და ეჟვანის“ შესახებ. მოგეხსენებათ, თაგვები ერთობ შეაწუხა ერთმა მოუსვენარმა კატამ. საცა წაახელებდა მათ შეკრებულებას, კატა მყისვე კლანჭებს გაჭკრავდა და შავ დღეს უთენებდა ხოლმე საბრალოებს. ერთ დღეს თაგვებმა ფარული მიტინგი გამართეს და ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიღეს ერთი წრეწუნას მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია:

—„ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ვერაგი და ჩვენი სისხლის მსმელი კატა ერთობ ფრთხილია,

რომ მას შეუძლია კლანჭების დამალვა და ჩვენზე ფარულად თავდასხმა,

რომ ღონით თითოეული ჩვენგანი მასთან ვერაფერს გახდება,

და რომ საჭიროა ჩვენთვის მისი მოახლოების დროიანათ გაგება და მით მოსალოდნელი საფრთხისაგან თავის დახწევა,

მიტინგი თავისუფალ მოქალაქეთა ერთხმად ადგენს: შეაბას კატას ეჟვანი, რათა მისი მოახლება ყველა ჩვენგანს დროიანათ ემცნოს.“

რეზოლიუცია მოწონებულ და ერთხმათ მიღებულ იქმნა. მოიკითხეს ეჟვანის შემბმელი, მაგრამ ეს უბრალო საქმე ყველას ემძიმა და მსურველი არავინ გამოჩნდა.

პატივცემული მელიტონ ემუხვარი თუ მოსმენილს დაუჯერებთ ზემოხსენებულ კატის როლს თამაშობს და თუმცა სამურძაყანოს თავისუფალ მოქალაქეთა მიტინგმა დაადგინა მას ეჟვანი შეაბას, შემბმელი ჯერ ვერავინ გამოჩნდა.

მეორე დღით შუადღეზე ჩვენ უკვე სოფ. **ბალში** ვიყავით. **ბალი** სამურძაყანოს შუაგულია. მიუხედავათ წვიმისა დიდ ძალმა ხალხმა მოიყარა თავი და გულდასმით მოისმინა აკაკი ჩხენკელის მიერ მეგრულ ენაზე წარმოთქმული სიტყვა. მიუხედავათ იმისა, რომ მეგრულ ენაზე ცოტა მწყარალათ ვარ, დეპუტატი აკაკის სიტყვა თითქმის სავსებით გავიგე. მეტადრე მისი უკანასკნელი წინადადება „მაშ გაუმარჯოს ჯიმალებო, დამფუძნებელ კრებას და დემოკრატ ულ რესპუბლიკას!“ ო. როგორც პეტრე ივანეს ძემ გადმომცა: „აკაკის მეგრული ერთობ მოიმდიდრებდა ქართულით“ და მეც იმისთვის უფრო გავიგე.

მზე თითქმის შუბისტარზე იდგა, როცა ჩვენ მრავალ რიცხვოვან მილიციონერთა თანხლებით ქ.

ზუგდიდისაკენ გავემგზავრეთ. უკვე დღე ღამეს ეყრებოდა, როცა მდინარე ენგურს მივადექით. შეიძლება ბინდის ბრალი იყო, რომ ენგურმა ჩემზე ისეთი მომხიბვლელი შთაბეჭდილება მოახდინა. გასაოცარის სიჩქარით მონავარდობს ის გაშლილ ველზე, თითქო ეჩქარება თავი დაახწიოს ხმელეთს და ზღვის ტალღებში შეიჭრასო. აქა იქ იშლება აურაცხელ ტოტებათ, ზოგან კი თავს იყრის და ერთ კალაპოტში მოწურული გიჟივით მიისწრაფის დასავლეთისკენ.



ოჩემჩირე—გალი—ზუგდიდი—ახალსენაკი.

უკვე ბნელი ღამე იწვა ქვეყნად, როცა ჩვენ ქ. ზუგდიდში მივედით. „ზუგ“ მეგრულათ ქალაქს არ უნდა ნიშნავდეს, ვინაიდან ზუგდიდი ერთობ პატარა ქალაქი ყოფილა. საყურადღებო მე იქ ვერაფერი ვნახე, გარდა სასტუმრო „ცენტრალისა“ სადაც ორი ძვირფასი ამბანაგი კინალამ დამეხრჩვა.

საქართველოს არცერთ ქალაქს აღარ შერჩენია მეფეთა და მთავართა სასახლეები, გარდა ზუგდიდისა, სადაც მშვენიერ მწვანე გორაკზე გამოჭიმულა ორი დიდი სასახლე დადიანებისა. იქ, რასაკვირველია კუთვნილებისამებრ, კომისარიატი დაბანაკებულა.

ორი კრება გაიმართა აღნიშნულ სასახლეში. რომლებზედაც აკაკი ჩხენკელმა ორი ვრცელი ტყვა წარმოსთქვა. საყურადღებოა ზუგდიდში რევოლ ისტორიული წარწერა „სუდ“. ეგ სიტ უდიდეს შენობას აწერია, რომელიც უთუოდ სა მართლო უნდა იყოს.

რევოლიუციას აქ დიდი გავლენა მოუხდენ ყველაფერს დემოკრატიული სუნი უდის და დემ კრატიული კილო ემჩნევა. აი თუ გნებავთ მო მინეთ, როგორ იწყება ერთი განცხადება ზუგ დის სამაზრო კომისარისა, რომელიც ყველა ხე აკრული.

„Я, Зугдидскій уѣздный Комисаръ сі объявляю для всеобщаго свѣдѣнія, что...“

აბა დააკვირდით. წინეთ, ძველი რეჟიმის დროს, გამოდგებოდა ვიღაც ნიკოლოზ რომანოვი და სწერდა „Мы Николай вторый... და სხვა“ თითქო ერთი კაცი კი არა, ორმოც და ათი ყოფილიყოს. ზუგდიდის სამაზრო კომისარი, როგორც დემოკრატიის წარმომადგენელი პირდაპირ აცხადებს „Я Зугдидскій Комисаръ-о

სრული შუადღე იქნებოდა, როცა ზუგდიდიდან მომავალი ჩვენი ეტლი ცაიშის სკოლის წინ შეჩერდა, აქ კარგა ბლომა ხალხს მოეყარა თავი და დეპუტატთა ამოვლას უცდიდა. ეგევე შეგვემთხვა ხეთსა, ხოფსა და ქვალონში. საზოგადოთ ეს უბანი სამეგრელოსი ყველაზე მდიდარი და ნაყოფიერი ყოფილა.

საღამო ხანს მივაღწიეთ სამეგრელოს მეორე სამაზრო ქალაქს, **ახლ-სენაკს**. ეს ქალაქი არც ისე უშნო და ულაზათოა, როგორაც მის შესახებ გაიგონებთ, ან როგორიც პირველ შეხედვაზე გეჩვენებათ.

მაზრის კომისარი, როგორც გავიგე ძლიერ ენერგიული კაცი ყოფილა. მე მისი სურათი ისე ნაუცბათევად გადავიღე, რომ მეშინია სხვას არავის დაემსგავსოს და ამ საბუთის ძალით ახალმა ვინმემ მაზრის კომისარობა არ მოითხოვოს. სამაგიეროთ საუცხოვოთ გამოვიდა სურათი ქალაქის კომისარისა, რომლის მსგავსებას ხელს უწყობს გორიზონტალური ბულანჟე ნიკაპის წინა მხარეებ.

ეს პატივცემული მოქალაქე დიდი მოყვარული ყოფილა ჩვენი სათაყვანებელი მგოსნის სოლომონ ზურგიელიძისა და აღმითქვა მისი ხელნაწერების მოგროვება,



ძვირფასი მეგობარი ეშმაკისა, ადამ ფირანის გამოახურდია, რომლის მხატვრულ სურათსაც აქვათავსებ, საუკეთესო მასპინძლათ გამიხდა უცნობსა და უცხო ქალაქში. მრავალრიცხოვან კრებას მრავალმნიშვნელოვანი სიტყვით მიმართა აკაკი ჩხენკელმა და საღამოს მატარებლით გამოვემგზავრეთ სამტრედიისკენ.

ამით დამთავრდა მეორე ჩემი ოგზაურობა.

ეშმაკი.

კომისართან

(გაგრძელება, იხ, „ეშმაკის მათრახის“ № 34)

კომისარი. (სიცილს ვეღარ იმაგრებს) არც ერთი წვეთი მეთქი გელაპარაკები.

გარა. (მიმავალი კიდევ შემოტრიალდება) არც ღვინის სტაქნით შაიძლება?

კომისარი. გასწი მოშორდი აქედან!

გარა. (გავა სრულიად სცენიდან, მაგრამ ხელმეორეთ შემოდის) მუცლის ტკივილისთვის რომ დალიოს კაცმა არც ის შაიძლება? (მილიციონერი იცინის).

კომისარი. დამეკარგე აქედან, თორემ მუცლის ტკივილს მოგცემ მე შენ!

გარა. კარგი, ბატონო, სახლში დავითვრები და იქვე დავიძინებ, რა ვქნა! (მოტრიალდება) ერთი რუმკის ნება მაინც მომეცით.

კომისარი. კიდევ! დამეკარგე მეთქი აქედან!

გარა. (მიდის და თავისთვის ლაპარაკობს) ვა, ვა, ეს რა ამბავია კაცო! არც ჩაის სტაქანია, არც ღვინის, არც რუმკა, ხომ გახმა ფილტვები! (გადის)

კომისარი. ნამდვილათ მაგის ცოდვაში ჩავდგებით რომ მაგას სავსებით აუკრძალოთ ღვინის სმა.

მილიციონერი. მაგან რომ ღვინო არ დალიოს, ბატონო, ნამდვილათ მოკვდება.

კომისარი. არა, გულწრფელი კაცი კი ყოფილა. რა ქნას, იცის რომ ვერ მოსცილდება ღვინოს და სიტყვის მოცემა მიტომ ვერ გაბედა. (მილიციონერს) რა მოხელე კაცია?

მილიციონერი. ფინაჩია, ბატონო, ძველი წუღების მკერავი. ფულს შოულობს, მაგრამ თავის უბედურია საწყალი!

ხმები: ბატონო, სამართალი მოგვანიჭეთ, სამართალი!

კომისარი. (მილიციონერს) გაუღე, გაუღე და შემოუშვი თორემ აგვიკლებენ. (მილიციონერი კარს აღებს, ხალხი მოაწვება კარებს. შეიქმნება ჩოჩქოლი. ისმის დარეჯანის ხმა: „თქვენ კაცებს რა გიპირთ, მე საცოდვარმა მარტვახელა ქალმა რა ვქნა!“ — „არ შეიძლება, არა ჩვენი რიგია“. შემოვარდება დარეჯანი).

IV

კომისარი, მილიციონერი და დარეჯანი.

დარეჯანი. (ჩქარის ნაბიჯით და ხელებ გაშლილი) დამიფარე, ბატონო კომიტატო, დამიფარე!

კომისარი. რაშია საქმე, ბატონო?

დარეჯანი. შენს მუხლებს დავენაცვლე, ბატონო კომიტატო, მიშველე, სამართალი მომანიჭე, თვარა დევირჩვი ქალი ესაა!

კომისარი. ბრძანეთ, ბატონო, რაშია საქმე?

დარეჯანი. ქვეყანაზე ერთი ბავშვის მეტი არაფერი გამაჩნდა და ისიც ვაინაში წეიყვანეს, ენაცვალოს იმას მისი დედა. ის რომ სახლში მყავდეს მე ვინ რას გამიბედავს, მარა მარტვა ხელა ქალი რომ ვარ, ბატონო კომიტატო, ყველამ მე დამიჯაბნია!

კომისარი. ბატონო, ბრძანეთ ვინ დაგიჯაბნიათ, ან რაშია საქმე?

დარეჯანი. ეპიფანე შარიანიძის სამძღვარზე ლობე მქონდა გავლებული შენ დაგენაცვლოს დარეჯანი, მარა რავალი ლობე! გერმანეს ზარბაზანი რომ გეტკუცა თელი დღეი და ღამე დრეკას ვერ უზამდი შენ ნუ მოუკვდები ჩემ თავს. საწყალი ჩემი ბავშის ხელით იყო გაღობილი. უი, ენაცვალოს იმას მისი დედა და ხვთისმშობელმა დედამ მშიდობით დამიბრუნოს მისი თავი. ვაიმე, ვაიმე, რავა უპატრონოთ ვიჩაგრები მე უბედური! გადმომივარდა, ბატონო, ის ხვთისაგან შეჩვენებული ეპიფანე და თელათ დამიჩეხა და გამირღვია ლობე! მერე რავალი ლობე, რავალი ნაშენი, შენ დაგენაცვლოს დარეჯანი. ვაი ჩემი ბავში უნდა მოსწრებოდა იმ დროს რომ ლორივით დაეკლა ზედ. მარა რაღაი! დრო მიშოვეს, ჩამიგდეს მარტვახელა ქალი და ყველამ მე დამიჯაბნია. მიშველე, ბატონო კომიტატო, შენ დაგენაცვლოს დარეჯანი!

კომისარი. (გაკვირვებით) როგორ, ასე მოურიდებლათ, ასე ძალად?!

დარეჯანი. კი ბატონო, ძალათ გამირღვია, შენ დაგენაცვლოს დარეჯანი.

კომისარი. დიდზეა ლობე დაზიანებული?

დარეჯანი. იმე, დიდზე კი არა თელათ გამირღვია, შენ დაგენაცვლოს დარეჯანი, თელათ! ვაიმე მე საცოდვარს ღმერთის მეტი ვინა მყავს ქვეყანაზე მომხმარე!

კომისარი. სადაური ბძანდებით თქვენ?

დარეჯანი. მე, შენ და გენაცვლოს დარეჯანი, წინსოფლელი გახლავარ.

კომისარი. თქვენი მოსაზღვრეა ის ეპიფანე?

დარეჯანი. კი შენ დაგენცვლოს დარეჯანი, ვაი, მესამძღვრეებში გამოაკლოს ღმერთმა მისი თავი!

კომისარი. კირგით მოვიკითხავ საქმეს, მედიატორებს დაგინიშნავთ და ისინი გაგასწორებენ.

დარეჯანი. აპა, პა, პა პა, იჰ! არ შეგეამოს ჭირმა არც შენ და არც დარეჯანი! მედიატორებს რავა ვენდობი, შენი ჭირი შემეყაროს, ყველას მისი ფხარი უკავია!

კომისარი. ჩვენ ისეთ პირებს დაგინიშნავთ, რომელნიც სწორეთ გაარჩევენ საქმეს და არავის მხარს არ დაიჭერენ.

დარეჯანი. აჰ, არა შენ დაგენაცვლე, ნამდვილ შენ უნდა წამომყვე იქანა ადგილობრივ და სამართალი გამიჩინო, თვარა მე ჩვენ კუთხეზე ვერავის ვენდობი.

კომისარი. მე თქვენ წამოსაყოლათ არა მცალიან, ხომ დაინახეთ რამდენი ხალხი მელოდება!

დარეჯანი. ერთ საათს მეიცალე, შენ დაგენაცვლოს დარეჯანი.

კომისარი. არ შემიძლიან, ბატონო, გადჭრით უარს გიცხადებთ.

დარეჯანი. იმე, ბატონო რავა თუ არ შეგიძლიან! შენ კომიტატი და მთავრობა თუ ხარ, ქეც უნდა წამოხვიდე და ქეც ყორისფელი ქნა, აპა რამოხელე ბძანდები!

კომისარი. მაშ თქვენ გინდათ რომ საითაც ხელი დამიქნიოთ, იქით გავიქცე, არა? არა, ბატონო, უთქვენოთაც მრავალი საქმე მაქვს. მე, თუ გინდათ დაგინიშნავთ მედიატორებს და ისინი გაგასწორებენ.

დარეჯანი. არ შემიძლიან, ბატონო, არა! იგი ეპიფანე მისთანა ურწმუნო და შეჩვენებლია რომე ყველას მეიყოდის და ჩემსკენ არავინ არას იტყვის.

კომისარი. გეტყობათ თქვენ კარგი არა გაქვთ დათესილი თქვენს მეზობლებში, რომ ასე გეშინიანთ მათი.

დარეჯანი. იმე! ღობე მე გამირღვიეს, სიმინდი მე მომითხარეს და კიდო მე ვარ ბლახა ქალი! კაი ზაკონი კი გქონებიათ ამ ახალთაობას!

კომისარი. (გაჯავრებული) წესიერი ხალხისათვის სამართალიც წესიერია.

დარეჯანი. (გაჯავრებული ხმამაღლა) აპა მე უწესო ქალი ვყოფილვარ ხო! ჩამიგდეთ უპატრონო ქალი და გინდათ რომ გადამაჯიგლიგოთ, მარა ვერ მოგართვით პატრიჟანი! მე სასამართლოს ყოველგან ვიშოვი. რავა შენზე კი არ ჩამოწყვეტილა საქმე!

კომისარი. თქვენ ცოტა თავი დაიკავეთ და ისე ილაპარაკეთ, თორემ ასეთი საქციელისათვის მე თქვენ დაგატუსაღებთ.

დარეჯანი. რაი, რაიო!! ვის დატუსაღებ შენ! ისლა მაკლია ახლა რომე ორ ძაფიანი შვილის დედა შეისთანებმა დამატუსაღონ! სანამდის არაფერი ჭამეთ თქვენ (მიდის)

კომისარი. (აღელვებული) ენას მოუკელით მეთქი, მე თქვენ, გელაპარაკებით!

დარეჯანი. (კარებიდან) იგი ჩემი შვილი იმ ვაინში არ მოკვდება, ჩამოვა და იგი გიტირებთ თქვენ ყოფას! (გააობრუნდება და ძალიან გაჯავრებული სხაპასხუპით ელაპარაკება კომისარს) რავა, მე გამლანძღეს, მე გამირღვიეს და მევე მატუსაღებთ! ეს კარგათ დეიმახსოვრე შენ და არ დაგავიწყდეს! (გარბის გაჯავრებული და კარებს მიარახუნებს.

კომისარი. ძალიან დამემუქრე შენმა სიცოცხლემ, თორემ არ გადამასახლო! არა, ძალიან არ მაშინებს იმ თავისი შვილით! „ორ ძაფიანიო“ ორ ძაფიანი სალდათი კი არა გენერლები და ხემწიფე მოხარეს წელში და დაატყვევეს. ორძაფიანი თორემ, შენმა სიცოცხლემ ვითამ მაკენზენის ადგილი სჭერია! (მილიციონერს) უყურე როგორ დამემუქრა!

მიდიტიხსერი. ძალიან რბილათ მოექეცით, ბატონო, მაგისთანა სიტყვებიზა ნამდვილ უნდა დაგეტსაღებინათ.

კომისარი. აბა, მაგისთანა სულელს გაუყადრებ თავს! იყბედოს, რა ფასი აქვს მაგის ლაპარაკს! (პაუზა) არა, ძალიან მაწყინარი ადამიანი უნდ იყოს ეტყობა, ხომ გაიგე, ვანო, რას ამბობდა! „ჩვენი სოფლიდან მედიატორები არ მინდა„ო. ეტყობა მთელი სოფელი აუმხედრებია, ეხლა ჩემთან მობრძანდა რომ წავყვე და მაგისი ცოდვები დმვფარო, მარა უკაცრავად, ვერ მივართვი!

ხმები, სამართალი მოგვანიე, ბატონო, სამართალი

კომისარი. გაუღე, გაუღე კარები და შემოუშვი შემდეგი, რომ იქნება მოვრჩეთ მაგათ აბდა-უბდა საჩივრებს. (მილიციონერი კარს აღებს და შემოდის ნოშრევანი)

V

კომისარი, მილიციონერი და ნოშრევანი.

ნოშრევანი. (ხანში შესული კაცია, სოფლის ჩარჩი. ტანზე ჩოხა-ახალუხი და ფეხებზე წუღები აცვია. თავზე თეთრი კარტუზი ქუდი ჰხურავს, ხელში ვძელი დაგლეჯილი ქოღგა უჭირავს. რა შემოვა და კომისარს დაინახავს წელში მოიქნება და თავდაბლა სალამს აძლევს) ბატონ კომიტეტს სიცოცხლე და დღეგძელობა!

კომისარი. გმადლობთ, რაშია საქმე?

ნოშრევანი. იმე, რავა რაშია, ბატონო კომიტატო, დევირჩვი კაცი უსამართლოთ შენი თავი ნთ მოუკვლია ნოშრევანს! ძველმა მთავრობამ ყური არ მათხოვა, ბატონო კომიტატო, მარა თქვენ მაინც რავარც ახალი თავობა, ნუ დამარჩობთ უზაკონოთ.

კომისარი. ბატონო, სთქვით რაშია საქმე?

ნოშრევანი. იმე, რავა რაშია, ბატონო კომიტატო, ამიგდეს თელათ კაცი და გამომწყვიტეს საზოგარდოებაში. ძველათ მართალია ყველა ერთი ჯოხით იდენებოდა, მარა რაღაი ინება მაცხოვარმა და ახალთავობის ხელში გადმევიდა საქმე, ამის მთხოვნელიარ, ბატონო კომიტატო, რომე ნუ დევირჩობი კაცი უსამართლოთ და ზაკონი მომენიჭოს. ღმერთო შენ დოუფსე იმას ოჯახი, ვინც ჩემი ამაგი არ დაიფასა და ჩემი ნაწვავ-ნადაგი ოცი მანათი შეახრამუნა!

კომისარი. რა ოცი მანეთია, კაცო, სთქვი რა გინდა?

ნოშრევანი. ბოშო, ურწმუნო და შუბლ გოურეცხელი ადმიანი რომ დეიბადება ქვეყანაზე, თვარა განა შენისთანა განათლებული კაცი ოცი მანეთიზ ა შესაწუხებელია! ოქროპირა შევარდნაძეს, ბატონო კომიტეტო, რავარც ბრეწოული მისთანა ქალი გოუმაშელე, შენ დაგენაცვლოს ნოშრევანი. ოცი მანეთი სამაშვლო შემპირდა იმ რჯულზე ხელ აღებულმა, მარა აგერ შვიდი წელიწადი გადის, რომე მისგან შვიდი კაპეიკი არ ვიცი. ნუ დამარჩობ, ბატონო კომიტატო და სამართალი მომანიჭე, შენ დაგენაცვლოს ნოშრევანი!

კომისარი. ჩვენ ჩარჩებისა და მაჭანკლების საქმეს არ ვარჩევთ.

ნოშრევანი. იმე, რეიზა, ბატონო, რეიზა! თუ ხარ ახალი თავობაი და კომიტატი ქეც ყორისფელი საქმე უნდა გაარჩიო აპა რავა! ბოშო, კაცმა მომატყუილა, სამასხარაოთ ამიღო კაცი, და რავა ეს ოინი უნდა შერჩეს ახლა იმას! თუთხმეტ მანათათ სხვაზე გამაშვლებული ქალი და საქმე გათავებული ჩამაშლევინა, ყმაწვილო, ჩამაშლევინა, შენ ნუ მოუკვდები ნოშრევანს! ბოშო დეიწყო ტირილი: „მე თუ ის ქალი არ წამევიყვანე, ნამდვილ წყალში გადავარდები!“ ო ხუთი მანათი ქე მომიმატა სიტყვით, მარა რაღაი! მეც მე უბედურმა ვიქიქრე: კაი ოჯახის შვილია, კაი გვარიშვილი და ტყვილს რავა იკადრებს თქვა, ავდექი, ბატონო კომიტატო და აგი თუთხმეტ მანათათ სხვაზე გამაშვლებული ქალი მაგას გოუმაშვლე. იქინე ის საცოდვარი ერასტია გაჩარხული და გამზადებული კაცი, პირში ჩალა გამოვლებული დავ ტიე და აქანა ამ ურწმუნო და უპირო ოქროპირმა თელათ სამასხროთ ამიღ, ბატონო კომიტატო და ერთი კაპეიკი რომაა, არ ოოუცია შენ ნუ მოუკვდები ჩემ თავს!

კომისარი. (გაჯავრებულა,) ოო, შე ჩარჩო, შენა! გასწი არა მცალიან თქვენთვის.

ნოშრევანი. იმე! ბატონო კომიტეტო, ნე ინებებ გლახას, ნუ დამარჩობ უსამართლოთ, ზაკონი მომანიჭე. კაცს მარგალიტივით გოგო გაურიგე და რეიზა არ უნდა მომეცეს ახლა ჩემი გსამჯელო!

კომისარი. (ხმამაღლა) გასწით მეთქი, ნუ მაცდენთ?

ნოშრევანი. ეი! წადი რავა, მეც კაცი ვარ, ბატონო კომიტატო, მეც სამართალსა ვთხოულობ და მთხოვნელი ვარ რომე უკანონოთ ნუ დამარჩობ! ერთი შენ მიბძანე, შენ დაგენაცვლოს ნოშრევანი, მარგალიტათ შენ რომ ერთი მარწყვივით გოგო გაშოვნო, რავა....

კომისარი. (ყვირილით აწყვეტინებს) გასწით, მომშორდით აქედან! (მილიციონერს) გაიყვანე ახლავე, ეგ ჩარჩი, ეგა!

ნოშრევანი. რეიზა, ბატონო კომიტეტო, რეიზა ინებებ გლახას! კაცმა სამი რწყვილი წრლა გავცვეთე იქით აქეთ სიარულში და აპა ტყვილა ჩავარონიო ჩემი მუშავობა!

კომისარი. დამანებეთ თავი, მომშორდით!

მილიტონერი. (ნოშრევანს) გეიარე, გეიარე, ბიძია, გირჩევნია თვარა....

ნოშრევანი. (აწყვეტინებს) იმე, რეიზა ყმაწვილო? აგია სამართალი, აგია ახალ თავობა. (კომისარს) უსამართლოთ ნუ დამარჩობთ, ბატონო კომიტატო, სამართალი გამიჩინე, ზაკონი მომანიქე, თვარა არაა კარგი!..

კომისარი. (ნერვებ აშლილი დაიყვირებს) მომშორდით მეთქი!

ნოშრევანი. (მიდის ლაპარაკით) ვაიმე, რავა დავეუპულვართ. რავა დაგვდგომია თვალები! აგია ახალთავობა, აგია სამართალი, (კარებში მობრუნდება) ბატონო კომიტატო, ნუ დამარჩობ უსამართლოთ, ზაკონი მომანიქე!

კომისარი. (ძალიან დაუყვირებს) დაიკარგე მეთქი აქედან, შე ჩარჩო, შენა!

ნოშრევანი. ვაიმე, ვაიმე, აგია სამართალი, აგია ზაკონის კანონი!!... (გადის)

კომისარი. (ძალიან გაჯავრებული) გაიძვერა, გახრწნილი! „ქვეყანა იქცეოდა და ტურა ქორწილს შვებოდაო“, სწორეთ ისეა მაგისი საქმე. ქვეყანა იქცევა და ეგ კი შვიდი წლის დაკარგულ სამაჭანკლოს თხცულობს! ეტყობა ვიღაც სოფლის წურბელა უნდი იყოს. (მილიციონერს) დაუძახე შემდეგს. (შემოდის ბასილა.)

(გაგრძელება იქნება.)

ბოგია

სასწრაფო დეპეშა.

ქუთაისი. სოციალისტ-ფედრალისტთა „სარევოლიუციო“ პარტიამ თავის მხრივ საქართველოს ქათალიკოსის ადგილზე კანდიდატათ წამოაყენა, ქუთაისისთვის კარგათ ცნობილი მოხეტიალე ემიგრანტი მიშა ლობჟანიძე. მწერლობაში „ღადოს“ ფსევდონიმით ცნობილი.

სატანა.

ა ც ა ნ ა

შენი ჭირიმე ძმობილო
ეშმაკო! გენაცვალები,
როგორ არა ვსთქვა სიმართლე,
რასაც შეხედავს თვალები!
ჰო, სთქვიო მეტყვი, მეც ვიცი,
განა არ გიცნობ ძმობილო,
მათრახის მარჯვეთ ქნევაში
გაწრთვნილო გამოწრთობილო.
მაშ ვიტყვი, ყური დამიგდე
დავდგები ორატორათა:
(განა შევცდები მსმენელს თუ
ამბავს მოუთხრობ სწორათა?
აცანის გზები გამხდარა
არვისთვის მოსაწონები,
ზედ დელეჟანი ვერ დადის,
იმტვრევა „ფაიტონები“.
საფართლოს, ბაკალენის,
და ფურნის კოპერატივი,
არსებობს, მარა შით საქმე
თავიდან ვერ არ მარტივი..
დაფიქრდეს მოქალაქეი
ეგ ზნეობრივი ვალია,
კოპერატივს კოჭლობა
რისი, თუ ვისი ბრალია.
აქაურ სკოლებს აკლია
„პოპეჩიტლების“ ხელია,
საქმით სუსტობენ, „რეჩები„
მათი უზომო გრძელია.
„პოპეჩიტლებო“, ძმებოჯან!
ნუ გეწყინებათ მხილება,
იხმარეთ მეტი უნარი,
ზედმეტი გამოცდილება.
აღმასრულებელ კომიტეტს
საქმე მიყავან ბრძნულათა,
მსჯელობენ, სწყვეტენ თანხმობით,
არკვევენ დიდებულათა.
არკვევენ, მარა ნარკვევი
რომ გვქონდეს ტყვილა ხელშია,
რას გვარგებს, თუ ვერ გაკეთდა,
ვერ მოვა სისრულეშია!

საამშენებლო კომიტეტს

დასწამეს: უყვარს ძილიო,
ზოგი მათგანი აჯობებს
რომ იქნეს გამოცვლილიო.
კომიტეტებმა მიუგეს:
არც ერთს არ გვძინავს, არაო,
ვმუშვობთ, ვშრომობთ ერთგულათ,
რაც რომ ვიძინეთ კმარაო.
აცანას სამკითხველოც აქვს
(გამგეებითთურ მგონია)
მკითხველებიც ჰყავს მხოლოდ, რომ
გაზეთი ცოტა ჰქონია!
მყუდროებაა ისეთი..
აქ საუცხოვო წესია,
მე ვაშინგტონშიც ვერ ვნახე
წესრიგი უკეთესია.
ინტელიგენტნი აცანის
დრამატურგ არტისტ მგოსნები,
სჭექს მათი სიტყვა მჭუხარე
ხალხია კულტუროსნები.
იმათზე ცუდის მოამბე
მათრახით გასახეთქია,
აცანას ერთიც ვერ ნახოთ
უსაქმო ნაცარ ქექია.

ისკანდერ.

ფედერალისტების მორიგი თავდასხმა.

აკაკი ჩხენკელი. ეშმაკო! იქნებ შენ იცოდე, რამ გაამწარა ეს ბუზები?
ეშმაკი. ეგრე იცის მეგობარო! როცა შემოდგომა მოახლოვდება ბუზები გამწარდებიან ხოლმე. მაგათ პარტიას შემოდგომა უდგება.

რედაქტორი ეშმაკი, სტამბა ვ. ჩუხაძისა, გაბაშვილის № 1